ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №14

ქ.თეთრიწყარო 2020 წელი

ერთის მხრივ **ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს** (შემდგომში - შემსყიდველი") წარმომადგენელი ვაჟა კაპანაძე და მეორეს მხრივ **შპს „თეთრიწყარო ტრანსი"-ს** (შემდგომში „მომწოდებელი") წარმომადგენელი ატო თამლიანი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 20 იანვრის N220 განკარგულების (SMP200000174) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება" – რომელიც ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების ტრანსპორტით გადაყვანის მომსახურების შესყიდვა. /CPV-60170000/

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9 252,90(ცხრა ათას ორასორმოცდათორმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათავლისწინებულ გადასახადებს.

4.3 <u>დაფინანსების წყარო: 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი</u>

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მომწოდებელთა ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადაასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვაჟა კაპანაძე.

7. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

7.1 მომსახურება განხორციელდება 2020 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 20 თებერვლამდე (23 სამუშაო დღის განმავლობაში).

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2 **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3 **მომწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვა.

8.4 **მომწოდებელი ვალდებულია** დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ააიპ „თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“-ს დირექტორი ვაჟა კაპანაძე.

9.2 ინსპექტიორება გულისხმობს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 მომსახურების დროულად არ გაწევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო რირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.1.1 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქლაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5(ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონლი საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
11.6 ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2 თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლბამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 მარტამდე.

16.რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ააიპ „სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“
თეთრიწყარო , თამარ მეფის ქ.N34
ს/კ 230869539
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:

შპს „თეთრიწყარო ტრანსი“

თეთრიწყაროს რაიონი, თამარ მეფის N34
ს/კ 230869860
ს/ს “ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22
ა/ა GE58LB0113198603411000

ტელ: 599 27 29 77, ელ-ფოსტა: tetritskarotransi@gmail.com

vazha kapanadze

Подписано цифровой подписью: vazha kapanadze
Дата: 2020.01.20 17:36:19 +04'00'

LTD TETRITSKARO TRANSI

Digitally signed by LTD TETRITSKARO TRANSI
Date: 2020.01.20 17:31:04 +04'00'

ტექნიკური დავალება

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს:
   ა) ტექნიკურად გამართული, შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.
   ბ) დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა.
   დ) ტრანსპორტირებისას ავტოსტრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.
   ე) ავტოსანტრანსპორტო საშუალებებში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და პერიოდულად უნდა ხდებოდეს დეზინფიცირება.
   ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა მართავდნენ შესაბამისი მართვის უფლების მქონე მძღოლები.
   ზ) აღსაზრდელების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ისე, რომ არცერთ აღსაზრდელს არ უწევდეს ფეხზე დგომა სატრანსპორტო საშუალებაში საჭირო ადგილების არ არსებობის გამო.
   თ) საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სასწავლო-სააღმზრდელო დროის დაწყებამდე და დასრულებიდან გონივრულ ვადაში (საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების მიყვანა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 10:00 ლარისა, ხოლო ბაღიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დასრულებიდან - არაუგვიანეს 10 წუთისა).
   ი) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ერთდროულად არანაკლებ 10 ერთეული სამგზავრო ტრანსპორტის გამოყვანა არანაკლებ 15 ადგილიანი.

2. მიმართულებები:

   1)სოფელ დიდი და პატარა ირაგიდან, სოფელ ალექსეევკიდან, სოფელ ჯვარადან, სოფელ ივანოვკიდან და სოფელ ჯიგრაშენიდან ბავშვების გადაყვანა სოფელ პატარა ირაგის საბავშვი ბაღში - სულ 62 კმ.
   2)სოფელ ღოუბნიდან - სოფელ ბორბალოს საბავშვო ბაღში - სულ 4 კმ.
   3) სოფელ მუხათიდან - სოფელ კოდის საბავშვო ბაღში - სულ 4 კმ.
   4) სოფელ ენაგეთიდან და სოფელ შავსაყდრიდან - სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღში - სულ 25კმ.
   5) სოფელ ჩხიკვთიდან - სოფელ ფარცხისის საბავშვო ბაღში - სულ 8 კმ.
   6) სოფელ თონეთიდან და სოფ ალგეთიდან - დაბა მანგლისის საბავშვო ბაღში - სულ 8 კმ.
   7) სოფელ არდისუბნიდან - სოფელ ჯორჯიაშვილის საბავშვო ბაღში - სულ 10 კმ.
   8) სოფელ აბელიანიდან, ე.წ. ნამტვრიანის დასახლებიდან - ქ. თეთრიწყაროს N1, N2 საბავშვო ბაღში - სულ 12 კმ.
   9) სოფელ ვაშლოვნიდან და სოფელ ერტისიდან - სოფელ ვაშლოვნის საბავშვო ბაღში - სულ 10 კმ.
   10) სოფელ ვაშლოვნიდან -სოფელ ბორბალოს საბავშვო ბაღში-6 კმ.

   სულ 149 კმ. დღეში უკან დაბრუნების ჩათვლით.
   მომსახურების ღირებულება 1კმ-ზე შეადგენს 2,70 ლ, დღგ-ს ჩათვლით.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ.თეთრიწყარო **2020წ.**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ააიპ “თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი”-ს დირექტორი ვაჟა კაპანაძე ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვაჟა კაპანაძე vazha kapanadze Подписано цифровой подписью: vazha kapanadze Дата: 2020.01.20 17:36:36 +04'00' დირექტორი